დადგენილება №47/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სადოქტორო პროგრამაზე "საშემსრულებლო ხელოვნება" 2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მისაღები ადგილების დამტკიცების შესახებ

დადგენილება №47/2020 , 22 ივლისი, 2020

დადგენილება №47/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე "საშემსრულებლო ხელოვნება," სპეციალობა: "საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები," 2020-2021 სასწავლო წლის, სასწავლო კურსის მოდულში-სპეციალობის ბლოკში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ" ქვეპუნქტის, საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 18 ივლისის N07 სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივლისის N26 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე "საშემსრულებლო ხელოვნება," სპეციალობა: "საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები," 2020-2021 სასწავლო წლის, სასწავლო კურსის მოდულში-სპეციალობის ბლოკში შემდეგ დისციპლინებში:
   ა) დისციპლინას „სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი" შეეცვალოს დასახელება და ფორმულირდეს შემდეგნაირად „საორკესტრო ანსამბლის კლასი".
   ბ) მოხდეს დისციპლინის „კამერული ანსამბლის კლასის" რეორგანიზება. ანსამბლები დაკომპლექტდეს როგორც ცალ-ცალკე (ხის ჩასაბერთა ანსამბლი, ლითონის ჩასაბერთა ანსამბლი) ისე შერეულად ხის და ლითონის ჩასაბერი ინსტრუმენტებით.
   გ) დისციპლინას „საორკესტრო სირთულეები ფურცლიდან კითხვა" შეეცვალოს სახელი და ფორმულირდეს შემდეგნაირად „საორკესტრო სირთულეები". აღნიშნული საგნის სწავლების ხანგრძლივობა სწავლების პირველ საფეხურზე განისაზღვროს (ბაკალავრიატი) I-IV სემესტრის ჩათვლით;
   დ) დისციპლინა „საორკესტრო კლასის" მუშაობის ფორმა განისაზღვროს „საპროექტრო მუშაობით" და სემესტრში წარმოდგენილ იყოს 2 საორკესტრო პროექტი.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge

3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულების ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორს
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე